



**დალი ჩოხელი** - GEU-ს სტუდენტი;  
საბაკალავრო პროგრამა ტურიზმი;  
2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის  
სემესტრის გაცვლითი პროგრამის მონაწილე -

„მოხარული ვარ რომ მომეცა შესაძლებლობა მონაწილეობა მიმეღო საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში და მესწავლა გერმანიაში. აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობამ საშუალება მომცა ამემალეებინა ცოდნა, მიმეღო უდიდესი გამოცდილება, გავცნობოდი სხვა ქვეყნების კულტურას და ტრადიციებს. რაც შეეხება სასწავლო პროცესს, კვალიფიციური ლექტორები და სწორად შერჩეული სტრატეგია ლექციებს საინტერესოს და შემეცნებითად დატვირთულს ხდიდა. უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილი ექსკურსიები და სხვადასხვა აქტივობები კი საუკეთესო საშუალება იყო ახალი მეგობრების შესაძენად. მადლობას ვუხდის ჩემს მშობლიურ

ქართულ-ევროპულ უმაღლეს სასწავლებელს გაწეული მხარდაჭერისათვის.“



**ცირა ტატიშვილი** - GEU-ს სტუდენტი;  
საბაკალავრო პროგრამა ტურიზმი;  
2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის  
გაცვლითი პროგრამის მონაწილე -

„პირველად ვიმყოფებოდი გერმანიაში, ჩემთვის ეს იყო ცხოვრების შეცვლის გამოცდილება. საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში მონაწილეობამ ცოდნასთან ერთად, შემძინა კროსკულტურული კომპეტენციები, ამიმალდა კომუნიკაციის უნარები უცხო ენის თვასაზრისით. ჩემთვის ეს იყო არაჩვეულებრივი შესაძლებლობა სწავლასთან ერთად მიმეღო დიდი გამოცდილება, თუ როგორ მოვრგებოდი ახალ გარემოს და ცვლილებებს.

მადლობა ჩემს სასწავლებელს - GEU-ს, რომელიც მუდამ ცდილობს ხელი შეუწყოს სტუდენტებს არა მხოლოდ პროფესიული, არამედ პიროვნული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში.“